საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 340

23 05 2017წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერის 2017 წლის 19 მაისის №531096 და 23 მაისის №540712 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

დანართი

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომში - დარგობრივი მახასიათებელი) შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პირობებს. ასევე, ამ წესით დგინდება დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში მონაწილე პირებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი - საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოზე, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოზე და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე დაფუძნებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განხორციელების პროცესს, დარგობრივი მახასიათებელი არის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღწერს იმ მინიმალური სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი საფეხურის დარგის/სპეციალობის, კვალიფიკაციის მფლობელს და ამ შედეგების მიღწევისა და შეფასების გზებს, რომლის საფუძველზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახდენს სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების და შეფასების მიდგომების, რესურსების და სხვა არსებითი მახასიათებლების განსაზღვრას და განვითარებას აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში.

ბ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო - კოლეგიური ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ან/და გარე ინიციატივის შემთხვევაში განიხილავს შესაბამისი სფეროს/მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს/მახასიათებლებს, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ცვლილებების პროექტს და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორს.

გ) ინიციატორი - დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა ცენტრისა, რომელიც:

გ.ა) წარმოადგენს ინიციატივას ახალი დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის მიერ შემუშავების შესახებ ან/და თავად გამოხატავს მზაობას ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების შესახებ;

გ.ბ) წარმოადგენს ინიციატივას არსებულ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების განხორციელების შესახებ;

დ) დაინტერესებული პირი - ცენტრის ან/და ინიციატორის მიერ მოწვეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დარგობრივი სამინისტროს, სახელმწიფო დაწესებულების, დარგობრივი და დასაქმებულთა/დამსაქმებელთა გაერთიანების, არასამთავრობო ორგანიზაციის ან სხვა იურიდიული პირის წარმომადგენელი ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ფიზიკური პირი;

ე) სამუშაო ჯგუფი - უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავების მიზნით შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისგან შექმნილი ჯგუფი;

ვ) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შექმნის მეთოდოლოგია - უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში დარგობრივი მახასიათებლის შექმნის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზს, აკადემიური საზოგადოებისა და დარგის სპეციალისტთა სავალდებულო ჩართულობას და ითვალისწინებს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს.

მუხლი 3. დარგობრივი მახასიათებლის ინიცირება

1. ცენტრში ინიციატივის წარმოდგენა ხორციელდება ცენტრის მიერ შემუშავებული განაცხადის შესაბამისად (დანართი №1).
2. ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შეტანის ან/და დარგობრივი მახასიათებლის გაუქმების ინიცირებისას, ინიციატორი განაცხადს დამატებით დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:
ა) ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების დასაბუთებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს ან/და შესაბამისი დარგის ან/და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს;
ბ) მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის ცვლილების/გაუქმების დასაბუთებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის ანალიზს ან/და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს ან/და შესაბამისი დარგის ან/და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს.
3. ინიციატორი, რომელიც გამოხატავს დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მზაობას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, დამატებით წარმოადგენს:
ა) მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში - დარგობრივი მახასიათებლის ცვლილების პროექტს;
ბ) ახალი დარგობრივი მახასიათებლის განსახილველად წარმოდგენის შემთხვევაში - ახალი დარგობრივი მახასიათებლის პროექტს.
4. ინიციატორის მიერ შემუშავებული და განსახილველად წარმოდგენილი ახალი დარგობრივი მახასიათებლის/მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების პროექტი უნდა მოიცავდეს ამ წესით განსაზღვრულ ინფორმაციას.
5. ცენტრი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ინიციატორს მათ გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 დღისა. ცენტრი უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
6. ცენტრი ინიციატივის შესახებ ამზადებს წერილობით პოზიციას და უზრუნველყოფს წარმოდგენილი დარგობრივი მახასიათებლის/დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების პროექტის ან დარგობრივი მახასიათებლის გაუქმების ინიცირების განხილვას უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოზე, დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.

მუხლი 4. ცენტრის მიერ დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება/ცვლილებების შეტანა/გაუქმება

1. ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემდეგი

გარემოება:
ა) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
ბ) საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტები, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები, რეკომენდაციები და სხვა;
გ) მოქმედ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში ახალი მიმართულებების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატება/შეცვლა/ამოღება/გადანაცვლება;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, დარგობრივი სამინისტროების, დარგობრივი და დასაქმებულთა/დამსაქმებელთა გაერთიანების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დასაბუთებული ინიციატივა;
ე) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს ინიციატივა;
ვ) დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ზ) დარგობრივი მახასიათებლის განახლება/გაუმჯობესება;
თ) დარგობრივი მახასიათებლის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ დარგობრივი საბჭოს დადებითი რეკომენდაცია;
ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნა.
2. ცენტრის/ინიციატორის ინიციატივით დარგობრივი მახასიათებელი, ასევე, შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ზედიზედ 7 წლის განმავლობაში დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე არ შეიქმნა/არ განხორციელდა არც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
3. ახალი დარგობრივი მახასიათებლის შექმნის, მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის განახლება-სრულყოფის ან გაუქმების საკითხს განიხილავს დარგობრივი საბჭო, რომელიც შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციას და წარუდგენს ცენტრის დირექტორს.
4. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვისა ცენტრი უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ დარგობრივი საბჭოს წევრთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას (ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით). დაინტერესებულ პირთა მიერ დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებების შემუშავების და ცენტრისთვის მიწოდების ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეს ცენტრის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან.
5. ცენტრი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთაგან მიღებული ცვლილებების დარგობრივ საბჭოზე განხილვას, დარგობრივმა საბჭომ შეიძლება მიიღოს რეკომენდაცია:
ა) მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის ვადის გაგრძელების შესახებ;
ბ) მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების, გაუქმებისა და ახალი დარგობრივი მახასიათებლის პროექტის მომზადების მიზნით შესაბამისი დარგობრივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. დარგობრივი მახასიათებლის/მახასიათებლების ცვლილებების პროექტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას (წევრთა რაოდენობას და ვინაობას) განსაზღვრავს დარგობრივი საბჭო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების“ შესაბამისად.
7. დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებების/ახალი დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების მიერ დარგობრივი მახასიათებლის პროექტი უნდა მომზადდეს ამ წესის მე-6 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
8. დარგობრივ მახასიათებელში შინაარსობრივი ცვლილებებია ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის შეცვლა, თუ ცვლილება არ ითვალისწინებს ენობრივ, ტექსტური წყობის, ცვლილების თარიღის, სარეგისტრაციო ნომრის და სხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს.

9. დარგობრივ მახასიათებელში ტექნიკურ ცვლილებებს მიეკუთვნება ნებისმიერი ცვლილება, რომელიც არ იწვევს დარგობრივი მახასიათებლის შინაარსის შეცვლას და ატარებს ტექნიკური ხარვეზების/ცვლილებების ხასიათს.

მუხლი 5. დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება

1. დარგობრივი მახასიათებელი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
1.1. დარგობრივი მახასიათებლის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
1.2. დარგობრივი მახასიათებლის სარეგისტრაციო ნომერი და კოდი;
1.3. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა;
1.4. დარგი (რეგულირებადი/არარეგულირებადი);
1.5. დარგობრივი მახასიათებლის მიზანი;
1.6. დარგში მოქმედი სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში, მაგ. დარგში მოქმედი საერთაშორისო აქტები, საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები);
1.7. დარგობრივი მახასიათებლის სფეროს აღწერა დარგისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების მითითებით (სასწავლო კურსების და/ან პროგრამის სხვა კომპონენტების დასახელებების მითითების გარეშე); სწავლის სფერო (მიმართულება, დარგი/სპეციალობა, რეგულირებად პროფესიაში - ქვედარგი/სპეციალიზაცია); უმაღლესი განათლების საფეხური/საფეხურები; მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები (ქართულ და ინგლისურ ენებზე); პროფესია (რეგულირებადი/არარეგულირებადი) და პროფესიის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
1.8. დასაქმების სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საერთაშორისო აქტების და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მითითებით);
1.9. დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თავისებურებები, რაც გულისხმობს შემდეგი ინფორმაციის მითითებას: უმაღლესი განათლების საფეხური; საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები (არსებობის შემთხვევაში); საგანმანათლებლო პროგრამის მინიმალური მოცულობა კრედიტებში; საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლო სტრუქტურა (კვალიფიკაციის მინიჭების სფეროში მინიმალური სავალდებულო კრედიტებისა და პროგრამის კომპონენტების მითითებით); საგანმანათლებლო პროგრამით სავალდებულოდ მისაღწევი სწავლის შედეგები დარგობრივი ცოდნა და უნარები, დარგისთვის სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციები; შესაბამისი კომპეტენციის მიღწევისა და მიღწეული კომპეტენციის დადგენისათვის აუცილებელი სპეციფიკური მეთოდები; სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი სპეციფიკური რესურსები, მათ შორის მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი (მაგ., პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაცია, დარგში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სპეციალური მომზადება/განათლება, პრაქტიკული გამოცდილება, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების - დარგის სპეციალისტების მინიმალური ოდებობა და/ან სხვ.) და მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი (მაგ., სპეციფიკური ტექნიკური მოწყობილობები/აღჭურვილობა, სპეციალური კომპიურეტული პროგრამები, ტრენაჟორები, სიმულატორები, ლაბორატორიები, სახელოსნოები და/ან სხვ.); დამატებითი ინფორმაცია, რომლის მითითების საჭიროება დგება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
2. დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას განათლების მიმართულებაში/სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილება, მოქმედი საერთაშორისო

სტანდარტები, შესაბამისი დირექტივები და რეკომენდაციები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა.

მუხლი 6. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. ცენტრი, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, დარგობრივ საბჭოზე განხილვამდე უზრუნველყოფს დარგობრივი მახასიათებლის პროექტის საჯაროობას ცენტრის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებით.
2. განსახილველად წარდგენილ ახალი დარგობრივი მახასიათებლის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს:
ა) ინფორმაციას დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ESCO) მსგავსი ან შესაბამისი პროფესიის არსებობის შესახებ (კოდის და ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიის დასახელების მითითებით);
ბ) ინფორმაციას განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCED) მსგავსი ან შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შესახებ (კოდის და ქართულ და ინგლისურ ენებზე კვალიფიკაციის დასახელების მითითებით);
გ) საერთაშორისო გამოცდილების გათვალისინებით შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის (სტანდარტის) მიმოხილვას (არსებობის შემთხვევაში);
დ) ინფორმაციას დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ჯგუფის წევრების ვინაობის და მათი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების შესახებ.
3. მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შეტანის ინიცირების შემთხვევაში ანალიზის დოკუმენტი დამატებით უნდა მოიცავდეს მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის შინაარსისა და ცვლილებების შედარებას, ცვლილებების აღწერასა და დასაბუთებას;
4. ამ მუხლის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობა დარგობრივი მახასიათებლის პროექტის განხილვაზე უარის თქმის საფუძველია.
5. ცენტრი, დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ინიცირებისას, ამზადებს წერილობით პოზიციას (გარდა ცენტრის ფარგლებში შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების პროექტებისა) და უზრუნველყოფს მის განხილვას უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.
6. დარგობრივ საბჭოზე დარგობრივი მახასიათებლის განხილვისას შესაძლებელია გამოიკვეთოს მათში ცვლილებების განხორციელების საჭიროება.
7. თუ დარგობრივ საბჭოზე დარგობრივი მახასიათებლის განხილვისას გამოიკვეთა მათში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რაც გარკვეულ ვადას მოითხოვს, ამ შემთხვევაში ხდება დარგობრივი საბჭოს მიერ კორექტირებული დარგობრივი მახასიათებლის ხელახლა განხილვა.
8. უმაღლესი დარგობრივი საბჭოს მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დარგობრივი მახასიათებლის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება ცენტრის დირექტორს.

მუხლი 7. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა

1. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა არის 7 წელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია განსხვავებული ვადა.
2. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადის ათვლა იწყება ცენტრის დირექტორის მიერ დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების დღიდან.
3. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, ინიცირება

ხორციელდება ამ წესით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დარგობრივი მახასიათებლისთვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება

1. დარგობრივი მახასიათებლის რეგისტრაციის სისტემა ეფუძნება განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციები (ISCED-F–2013).
2. დარგობრივ მახასიათებელს მიენიჭება შესაბამისი სარეგისტრაციო ნომერი.

<u>დანართი №1</u>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

მოქალაქე/ორგანიზაცია:_____

(განმცხადებლის პირადი N)

მისამართი:_____

საკონტაქტო ტელეფონი:_____

ელ.ფოსტა:_____

განცხადება

_____

(მოთხოვნის საგანი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

<u>დანართები:</u>

(განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა)

_____

_____

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: